2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/142118-16 30.07.2014წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე ვ. მუჯირიშვილი

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ვ-12/142118-16/2 03. 09. 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, შუამთის ქუჩა №20 (ნაკვ. 34/4), შ.პ.ს. ფირმა არბოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. №023/004) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სავაჭრო ობიექტის რეკონსტრუქცია (დაშენებით)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ №ბ-12/142118-16 20.08.2014წ. ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე

2014 წლის 20 აგვისტოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისში, შუამთის ქუჩა №20 (ნაკვ. 34/4), შ.პ.ს. ფირმა არბოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. №023/004) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტს (სავაჭრო ობიექტის რეკონსტრუქცია (დაშენებით)) **№ბ-12/142118-16** ბრძანებით უარი ეთქვა ექსპლუატაციაში მიღებაზე. ბრძანების კომპიუტერული დამუშავებისას დაშვებულ იქნა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ ბრძანებაში სამშენებლო დარღვევები ნაცვლად ახალი 16.08.2014წ. ცნობისა დაფიქსირებულ იქნა ძველი ცნობის საფუძველზე, რომელიც სამსახურის სპეციალისტების მიერ 21.10.2013წ. №12/13294206-16 განცხადების საფუძველზე მომზადდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად "ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები", ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ,,შეცდომების გასწორება უნდა გამოქვეყნდეს ან გადაეცეს ოფიციალური გაცნობისათვის იმავე წესით, რომელიც დადგენილია ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისათვის ან გაცნობისათვის.".

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან №ბ-12/142118-16 20.08.2014წ. ბრძანებაში 16.08.2014 წლის ცნობის საფუძველზე ასახული დარღვევის ,,არსებულ სართულზე ,,გ-გ" ღერძის გარეთ ამოშენებულია კედლები და შექმნილია 7 კვ.მ შიდა ფართი. შეცვლილია საპროექტო წითელი ხაზების კომფიგურაცია" ნაცვლად დაფიქსირდა დარღვევა ,,არსებულ სართულზე ,,გ-გ" ღერძის გარეთ ამოშენებულია კედლები და შექმნილია 7 კვ.მ შიდა ფართი, რომელიც ცდება წითელ ხაზს", ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ტექნიკური ხარვეზის გასწორება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1) გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №ბ-12/142118-16 20.08.2014წ. ბრძანებაში და ბრძანების სამოტივაციო ნაწილში ნაცვლად **,,არსებულ სართულზე ,,გ-გ" ღერძის გარეთ ამოშენებულია კედლები და შექმნილია**

TBILISI CITY HALL

7 კვ.მ შიდა ფართი, რომელიც ცდება წითელ ხაზს“ დაფიქსირდეს „არსებულ სართულზე „გ-გ“ ღერძის გარეთ ამოშენებულია კედლები და შექმნილია 7 კვ.მ შიდა ფართი. შეცვლილია საპროექტო წითელი ხაზების კომფიგურაცია“.

2) წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №ბ-12/142118-16 20.08.2014წ. ბრძანებასთან ერთად.

3) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) ერთი თვის ვადაში.

უფროსის მოადგილე ბ. შუკერიშვილი

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ზ-12/142118-16 20. 08. 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი–სამგორი, შუამთის ქუჩა №20 (ნაკვ. 34/4), შ.პ.ს. ფირმა არბოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. №023/004) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სავაჭრო ობიექტის რეკონსტრუქციის (დაშენებით)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №692564 17.05.2013წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი–სამგორი, შუამთის ქუჩა №20 (ნაკვ. 34/4), შ.პ.ს. ფირმა არბოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. №023/004) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-3“ ფასადზე: I სართულზე „3-3” ღერძთან შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი. ფასადზე ვიტრაჟების თავზე არ არის მოპირკეთებული აგურით. II სართულზე „1-1” ღერძთან მოწყობილია სატელიტური ანტენა, ხოლო ვიტრაჟებზე სარეკლამო აბრები.

„ა-გ” ფასადზე: I სართულზე „ა-ბ” მონაკვეთში აგურით მოპირკეთების ნაცვლად შელესილი და შეღებილია კედელი. აღნიშნულ მონაკვეთში მოწყობილია ვიტრაჟი და სარეკლამო ბანერები. II სართულზე „ა-ბ” მონაკვეთში ვიტრაჟის ზედა და ქვედა ბოლოებთან არ არის მოწყობილი რენდერით გათვალისწინებული მოსაპირკეთებელი მასალა. აღნიშნულ ფასადებზე შემცირებულია ვიტრაჟების სიმაღლე 0.2 მ-ით.

„გ-ა” ფასადზე: I სართულზე „ბ-ა” მონაკვეთში კედლის ნაწილი მოსაპირკეთებელია საფასადე აგურით. +2.95 ნიშნულზე ფიქსირდება ღრუტანიანი ფილის ნაშვერი. II სართულზე „ა-ა” ღერძთან მოწყობილია წყალშემკრები მილი. +6.95 ნიშნულზე გასქელებულია პარაპეტი.

+0.00 ნიშნულზე შეცვლილია შიდა კიბის მიმართულება და საფეხურების რაოდენობა.

არსებულ სართულზე „გ-გ” ღერძის გარეთ ამოშენებულია კედლები და შექმნილია 7 კვ.მ შიდა ფართი, რომელიც ცდება წითელ ხაზს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ”გ” ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მოქ. ნაილი აბუანდაძეს, ქ. თბილისში, სექტორი–სამგორი, შუამთის ქუჩა №20 (ნაკვ. 34/4), შ.პ.ს. ფირმა არბოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. №023/004)